ეროვნული ბიბლიოთეკა

17338


# მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 13—14 1883—1910 წ. 3 ოქტომბერი


## შინაარსი.


**სალიტერატურო განყოფილება:** რატომ არის ასე გაძნელებული საღმრთო და საეკლესიო ღვთის მსახურების წიგნების ბეჭდვის საქმე ჩვენში? დეკ. დ. ღამბაშიძისა.— განა ჩვენები არ არიან დამნაშავენი? დეკ. დ. ღამბაშიძისა.— მოკლე შენიშვნა გაზ. „შინაური საქმეების“ შინაური საქმეების გამო. ახელისა.—ვისი ბრალია.—ჟურნალ გაზეთთაგან.— ახალი ამბები და შენიშვნები.—საზოგადოების საყურადღებოდ დეკ. დ. ღამბაშიძისაგან.—განცხადებანი.


## რატომ არის ასე გაძნელებული საღმრთო და საეკლესიო ღვთის მსახურების წიგნების ბეჭდვის საქმე ჩვენში?

გაგრძელება*)

წინა „მწყემსი“-ს ნომერში გამოვსთქვით ჩვენ, რომ ეხლა სხვა საშუალებას მიმართავს ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭვდვის საქმის გასაადვილებლად, მაგრამ ეს საშუალება წიგნების ბეჭდვის საქმეს თუ გააძნელებს, თორემ არ გააადვილებს. აი საქმე რაშია: განსვენებულ ექსარხოსის ნიკონის დროს ორი პირი დაიბარეს მოსკოვის სინოდის სტამბიდგან და მოელაპარაკენ სინოდალურ კანტორაში ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ. როცა გავიგე მე ეს, ვსთხოვე მაშინვე ორიოდე წელს, რომ ამ მოლაპარაკების დროს მივეღეთ მეც, რომ საქმეს დავხმარებოდი და შეცთომა ამეცილებია სინოდის კანტორისათვის, მაგრამ მე არავის მივუწვევივარ—საჭიროდ არ დაინახესო, მითხრეს. ბოლოს გავიგე, რომ გარდაეწყვიტათ ჩვენი საეკლესიო ქართული წიგნების ბეჭდვის გადატანა მოსკოვში. მართლაც გარდაწყვეტით ასე გადამწყდარიყო საქმე, მაგრამ წიგნების ბეჭდვა აღარც აქ არის ჩვენში და აღარც მოსკოვში და დიდი ხანი გაივლის კიდევ, რომ არსად არ დაიბეჭდება ძლიერ საჭირო წიგნები.

ჩვენი ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმის გადატანა მოსკოვში ჯერ 1889 წელში აღძრა მთავარეპისკოპოსმა საქართველოს ექსარხოსმა, ბოლოს პეტერბურღის მიტროპოლიტმა პალლადიმ. პალლადიმ მოახსენა უწმიდესი სინოდის ობერპრკურორს კ. პ. პობედონოსცევს, რომ მოსკოვის სინოდის სტამბაში დაეწყოთ ჩვენი საეკლესიო წიგნების ბეჭდვა და დიდ შესავალს ჰპირდებოდა სინოდის სტამბას ამ წიგნების ბეჭდვით. უწმიდესი სინოდის ობერპროკურორმა პობედონოსცევმა ერთ დროს მომცა წინადადება, რომ მოსკოვში მენახა შიშკოვი და მომელაპარაკნა ქართული წიგნების ბეჭდვის საქმის შესახებ და დახმარება აღმომეჩინა ასოთ ამწყობების დაქირავებაში და საზოგადოდ შემეტყობინებია ჩვენი ქართული წიგნების ბეჭდვის საქმე 1860 წლამდე. პობედონოსცევს წაკითხული ჰქონდა ჟურნალ **Пастырь**-ში ჩემგან დაბეჭდილი სტატიები ჩვენი საეკლესიო

*) იხილე „მწყემსი“ № 9—10 1910 წ.

წიგნების ბეჭდვის შესახებ. უკან დაბრუნებისას გამოვიარე მოსკოვში და ვნახე შიშკოვი-მოსკოვის სინოდის კანტორის პროკურორი და სინოდის სტამბის მმართველი. შიშკოვმა დაწვლილებით გამაგებინა მთავარ ეპისკოპოსის მოხსენება ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის გადატანის შესახებ მოსკოვში. პალლადის აზრით, საჭირო იყო დაბეჭდილიყო 1600 ეკკლესიისათვის ყველა წიგნები და ყველა ეკკლესიებისათვის გარდაეხდევინებიათ არა ნაკლები 60 მანეთისა. 1600×60=96000 მ. შესდგებოდა. ზედ მეტი უნდა დაბეჭდილიყო კიდევ რომელიც ზედ-მიწერილ ეკკლესიებზე გაიყიდებოდა და ამ ნაირად სინოდის სტამბა აიღებდა 50000 მანეთს მოგებას. ორმოცდა ათი ათასი მანეთი კარგი ფულია! შიშკოვს მე ეს აზრი გავუფანტე სრულებით მით, რომ ჩვენ ეკკლესიებს არა აქვს ფულები, რომ ახლად დაბეჭდილი ყველაწიგნები იყიდოს. ვაცნობე, რომ სახარებანი, 1864 წელში დაბეჭდილი, პარაკლიტონები და სადღესასწაულო წიგნები, დაბეჭდილი მოსკოვში 1860 წლამდე ჯერ ბევრია გაუყიდველი, და ვინღა იყიდდა კიდევ ახალ დაბეჭდილს? ბოლოს ასოთ-ამწყობების დაბარება საქართველოდან და კარრექტორის დაქირავება მოითხოვდა დიდ ხარჯს და წიგნებს დააძვირებდა. მე დავუმტკიცე შიშკოვს, რომ არასოდეს არ შეიძლება მოსკოვში ჩვენი ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვა ისე იაფად, როგორც ეს შეიძლება თფილისში. მაგრამ თუ საქმე არ იქნა დაყენებული რიგიანად, სტამბის ბრალი არ არის. სტამბის საქმის შესახებ ჩვენ ცოტა არ გვიწერია ქართულსა და რუსულს ჟურნალს Пастырь-ში. 1890 წელში პეტერბურღში მე და შიშკოვი ერთად მივედით პობედონოსცევთან და მოვახსენეთ საქმის გარემოება. და როცა პობედონოსცევი დარწმუნდა, რომ ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვით არ გამდიდრდებოდა მოსკოვის სინოდის სტამბა, მან სრულებით უარჰყო ჩვენი ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის გადატანა მოსკოვში. 1893 წელში დაწვლილებით განვუმარტე სინოდის ობერ-პროკურორის ამხანაგს, ვლადიმირ კარლის ძეს საბლერს თუ რა ცუდათ იყო დაყენებული წიგნების ბეჭდვის საქმე ანდრეევის პროკურორობის დროიდან. საბლერმა თანახმად ჩემი წინადადებისა გარდასწყვიტა წიგნების ბეჭდვა ვაჭრობით გაცემულიყო. გაიცა ვაჭრობით მარხვანი ჟამნი და კონდაკი. გამოცხადდა თუ არა ვაჭრობით გაცემა, ხელაძემ, რომელმაც ჟამნი წინეთ დაბეჭდა თითო ცალი 2 მ. და 80 კ. მანეთ ნახევრად აიღო 1200 ცალის დაბეჭდვა და ისიც ყდით. მარხვანი დაბეჭდა ორი მანეთით ნაკლებ და კონდაკი ნახევრის ფასად წინანდელ დაბეჭდილზედ...

ამ ბოლოს დროს ჩვენი წიგნების ბეჭდვის საქმე უფრო წაახდინეს ჩვენებმა. მოგეხსენებათ ზოგიერთები ისეთ სამარცხვინო საქმეს ჩადიან თავის გამოსაჩენად, რომ კაცი გაოცდები. ყველაზე უფრო ამ შემთხვევაში დამნაშავე იყო დეკანოზი კონჭოშვილი, ბოლოს ეპისკოპოსი პეტრე. ამ კაცს ჩვეულებად ჰქონდა, როგორც კი მოვიდოდა ახალი ექსარხოსი, მიართმევდა უშველებელ მოხსენებას იმის შესახებ, რომ ჩვენი სამღვთო და საეკკლესიო წიგნების ბეჭდვა ცუდად მიდისო, ბევრი შეცდომით იბეჭდებაო; მე ზედმიწევნით ვიცი ბერძნული და ებრაული ენებიო და რომ ვადარებ დედნებთან, სული მიწუხს, რომ ჩვენი წიგნები დამახინჯებული არიანო და სხვა... ექსარხოსებიც ყურადღებას აქცევდნენ. 1860 წ. დანიშნული იყო შემსწორებელი კომისია, რომელშიდაც წევრებად ინიშნებოდენ არხიმანდრიტი მაკარი და დეკანოზი გიორგი ხელიძე, მაღისტრი ღვთის-მეტყველებისა. მოახსენეს უმაღლეს მთავრობას ხსენებული კომისიის მოღვაწეობა და შრომა საეკკლესიო წიგნების შესწორებისაგამო, დაიჯილდოვეს ზოგიერთები ხელმწიფის კაბინეტიდან ჯვრებით და საშრომიც მისცეს ვგონებ. მაგრამ როდესაც მოვიდა ახალი ექსარხოსი, მაინც ისევე გამოცხადდა კონჭოშვილი და მოახსენა ახალ ექსარხოსს: „გვიშველეთ, მოიღეთ მოწყალება—საეკკლესიო წიგნები სულ გაგვიფუჭეს შეცდომების დაშვებით და დაგვეხმარეთო“. ამასთან ექსარხოსის პალლადის დროს სემენარიის რექტორს სერაფიმს როგორც საქართველოს ეპარქიის საბჭოს თავმჯდომარეს მიართვა განცხადება და ითხოვა, რომ ჩვენგან გამოცემული პატარა ლოცვნები, სინოდისაგან გამოცემულ ლოცვნის მსგავსად ხალხში მუქთად გასავრცელებლად და სკოლებში სახმარებელი ჟამნი შეეკრიბათ და ცეცხლით დაეწვათ, რადგან, მისი აზრით, დამახინჯებულად გადამეთარგმნა თურმე და ამით ქვეყანა დაეხსნათ უბედურე-

ბისაგან და მწვალებლობისაგან, ამაზე დაწვრილებით შემდეგ ვაცნობებთ მკითხველებს.

ამისთანა პირების წყალობით შეჩერდა საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე. დღეს კითხვაა აღძრული, აირჩიონ საეკლესიო წიგნების შემასწორებელი კომიტეტი, რომელსაც უნდა დაავალონ წიგნების შესწორება და ამ შესწორების შემდეგ ბეჭდვა დაიწყონ. ეხლა საქმე იმაზეა დამდგარი, რომ ვინ იქნებიან ეს შემასწორებლები და რას ითხოვენ? ამასთან — რომელი თანხიდან უნდა მიეცესთ მათ საშრომელი? როდეს გადაწყდება ყველა ეს, ღმერთმან უწყის! დავითნი, კურთხევანი, სადღესასწაულო და ლოცვანი კი ძლიერ საჭირონი არიან და ვერსად უშოვიათ. ჩვენი საეკლესიო წიგნები, კი რომლითაც ჩვენი წინა-პირნი ცხონებულან და სულით დამტკბარან, დღეს ზოგიერთები ველარ ჰპოვებენ ამ წიგნებს ჯეროვანად დაბეჭდილად და სულის დამატკბობელად!.. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი წიგნები კი ისევ ისე იბეჭდებოდენ შეუცთომლად, როგორც იწერებოდნენ და იბეჭდებოდნენ ასი და ორასი წლის წინად. ნეტავი რა უნდა მოუმატოს მოსკოვში გადატანამ წიგნაკების შესწორების საქმეს?! მაგრამ ჩვენის აზრით წიგნების ბეჭდვის გადატანა სულ სხვა მიზეზის ბრალი უნდა იყოს. ამბობენ, რომ წიგნების ბეჭდვა კერძო სტამბებში არ შეიძლება, რადგან შეცთომები გაიშვება ბევრიო. მაგრამ ეს ტყუილი აზრია. შეცთომების გაშვების მიზეზია კორრექტორის უცოდინარობა და არა კერძო სტამბა. ხელაძის სტამბაში იბეჭდებოდა ერთ დროს დავითნი. ამოწყობილი იყო ფსალმუნიდან: „დაყმებოდიან, ვითარცა ძეგლნი“ — სტამბის პატრონმა ხელაძემ გაასწორა ასე: დაყმებოდიან ვითარცა ძაღლნი, (ხელაძემ საღმრთო წერილის კითხვა იცოდა!)“ ერთი ამბავი დაუწია ამისთანა გასწორებისათვის არქიმანდრიტმა მაკარიმ ამ მესტამბეს, აეშალა და უთხრა, როგორ შეიძლება ძაღლების ხსენება საღმრთო წერილშიო: „დაყმებოდიან ძეგლნი“ და არა ძაღლნიო — გადაასწორებინა! რა შუაშია აქ კერძო სტამბა!? კორრექტორობა მიენდობოდა ხოლმე ისეთ მოხუცებულ კაცებს, როგორიც იყო მაკარი და მათივე ბრალია ამგვარ კორრექტურულ შეცდომათა გაშვება. ამისათვის, ჩვენის აზრით, შემსწორებელი კომიტეტის დაქირავება და მერმე ისე ძვირად, როგორც აფასებენ თავიანთ შრომას, ჩვენის აზრით, სრულებით მეტია, მით ნამეტურ, რომ ეს კომიტეტი დიდათ დააბრკოლებს ჩვენი წიგნების ბეჭდვის საქმეს. მრავალი მთხოვნელი არის ლოცვანის, კურთხევანის და სადღესასწაულოსი და ყოვლად შეუძლებელია ამ წიგნების დაუბეჭდაობა. საქმეს არ დააბრკოლებს, რომ შესწორება რაღაც უმნიშვნელო შეცდომებისა შემდეგ დროისათვის გადაიდოს.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

გაგრძელება იქნება

# განა ჩვენები არ არიან დამნაშავენი?

წინა ნომერში ჩვენ გადმოვბეჭდეთ „შინაური საქმეები„-დან ერთი სტატია, თარგმნილი რუსულლიდან ამ სათაურით: „უუფლებო ეკლესია“. ეს სტატია დაიბეჭდა შემდეგის ჩვენი პატარა შენიშვნით. „ყველა აზრებს ამ სტატიისას არ ვეთანხმებით.“ სხვათა შორის არ ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ ვითომც ექსარხოსების წყალობით და სურვილით გადაცემოდეს ჩვენი საეკლესიო მამულები სახაზინო უწყებას კიტრის ფასათ და ამით ჩვენს ეკლესიებს ყველა ეპარქიებში განსაკუთრებით დიდი ზარალი ჰქონდეს ყოველ წლობით. დიახ, მართალია, ჩვენი საეკლესიო მიწები კიტრის ფასათ გარდაეცა სახაზინო უწყებას, მაგრამ იმდენი ბრალი ამაში ექსარხოსებს არა აქვს, რამდენიც ჩვენ ქართველ მღვდელთ-მთავრებს. ყველაზე უწინ საეკლესიო მიწები გარდაეცა ხაზინას თფილისის გუბერნიაში იმ დროს, როცა ექსარხოსად ჩვენში იყო მთავარ ეპისკოპოსი ისიდორე. ისიდორეს არ მოსწონდა ეკლესიების მამულების გარდაცემა სახაზინო უწყებისადმი იმ მცირე ფასში, რასაც ხაზინა 75 ათას მანეთს იძლეოდა ყოველ წლობით. ეს ფასი შეადგინა ამ მამულების იჯარის ფულებმა იმ დროში როცა გარდაიცა. შორს გამე-

რეტმა ისიდორემ კარგად იცოდა, რომ ეს მცირე ფას მამულების იჯარის შემოსავლისას შემდეგში მოემატებოდა და იმისთვის მამულების გადაცემის ოქმში დაამატა შემდეგი სიტყვები: შემდეგ დროისათვის, როცა მამულების ფასი და შემოსავალი იჯარის ფულების მოიმატებს, მაშინ მთავრობაც ვალდებული უნდა გახდეს 75 ათას მანეთს ყოველ წლობით მოუმატოს დღევანდელ მამულების ფასსო. ეხლა ერთი ორად მიცემა მამულის ფასად დღეს ხაზინის უწყების მხრით სწორეთ იმ ღირს შესანიშნავი მიტროპოლიტის ისიდორეს სიტყვების ძალით უნდა მომხდარიყოს.

ეხლა გავსინჯოთ, თუ რა სთქვეს ჩვენმა მღვდელთმთავრებმა საეკლესიო მამულების ჩამორთმევაზედ და სახაზინო უწყებისათვის გადაცემაზე ყოველ წლობით იმერეთის ეპარქიაში ოცდა ათი ათას მანეთად და სამეგრელოს ეპარქიაში ოცი ათას მანეთად?

ზოგიერთები დღეს სჯიან იმ მამულების გადამცემლებზე და იძახიან, რომ მილიონებათ სღირალი მამულები გადაცეს მუქთად და ჩამოართვეს ჩვენს ეკლესიასო. მაგრამ მათ სრულებით არ იციან, თუ რა მდგომარეობაში იყო 1870 წლადმდე ჩვენი საეკლესიო მამულების მართვა-გამგეობა და რამ აიძულა ჩვენი მღვდელთმთავრები ამ მამულების მცირე ფასად გარდაცემა სახაზინო უწყებისათვის. ვინ და როგორ განაგებდენ საეკლესიო მამულების საქმეს 1870 წლადმდე? იმერეთის და სამეგრელოს ეპარქიებში მღვდელთმთავრებს ყავდათ ამორჩეული ბლაღოჩინებთაგან სხვაზე მეტად შესამჩნევი პირები ოთხი და ხან ხუთი. ამ პირების მოვალეობას შეადგენდა, რომ საეკკლესიო მამულები გაეცათ იჯარით და თავთავის დროზე იჯარის ფულები წარედგინათ მღვდელთმთავრებისათვის. მღვდელთმთავრები ამ ფულებით ინახავდენ მონასტრებს კათედრის ტაძრებს და სასწავლებლებს. ყველა მმართველებიდან წელიწადში შემოდიოდა რვა ათას მანეთიდან თორმეტიათას მანეთამდე. მმართველები ჯამაგირებს არ იღებდენ და როგორც ამბობენ ვითომ მუქთად მსახურებდენ, მაგრამ „გამოსარჩენს“ „და საშრომის ფასს“ თუ ვიანგარიშებთ, რამდენსაც ისინი იღებდენ, კარგა ბლომათ კრეფავდენ!?..

ამ საეკლესიო მამულების გამგებლების წყალობით დიდი მამულები დაეკარგა სასულიერო წოდებას. ჩვენ კარგად ვიცნობდით ორიოდე ამისთანა მმართველებს, რომელთაც მოახერხესტგანგებდაეფლობინეს გლეხებს კლესიის მამულები და დიდი ფულებიც აიღეს. წარმოიდგინეთ მღვდელთ-მთავრები ამავე მმართველებს ანდობდა საქმის დაცვას სასამართლოებში. მარტო ქუთაისში არის დაკარგული საეკლესიო მამულები მმართველების ბოროტმოქმედებით და მოხერხებით არა ნაკლებ ასი ათასი მანეთისა. საეკლესიო მამულების მმართველები ეპისკოპოსების მდივნების ხელში იყვნენ და რასაც მდივანი ისურვებდა საეკლესიო მამულების გამგებელნიც მზად იყვნენ მათი ნება აესრულებიათ. ერთ დროში სეკრეტრად მყოფმა ბ. გოგაბერიძემ კარგა ბლომათ დაიფლო საეკლესიო მამულები ბაგრატის სობოროს ნანგრევების მახლობლად და ქალაქში. რომ გადაათვალიეროთ საქმეები მამულების იჯარით გაცემის შესახებ გაოცდებით იმ საქციელით, რასაც სჩადიოდა კომიტეტი ადგილების იჯარით გამცემი. სინოდის კანტორა ბრძანებდა, რომ მღვდემთავრებმა ამერჩიონ სანდო პირებისაგან კომისია და ამ კომისიას უნდა ადგილობრივ მოეხდინა მამულების გაცემაზე ვაჭრობა. ვინც ას მანეთს და მეტს მიართმევდა კომისიის თავსმჯდომარეს, ან მთელს კომისიას იმას წელიწადში იჯარის ფული რომ შეხვდრეოდა 30-40 მანეთი ხუთ მანეთად დაუტოვებდნენ ვაჭრობაში და ამ ნაირად არენდატორიც და კომისიის წევრნიც დიდი კმაყოფილნი იყვნენ. მამულები, რომელნიც შემოიტანდნენ წელიწადში ას მანეთს იჯარით, იცემოდა კომისიისაგან წელიწადში ათ მანეთად და ორ აბაზად. ერთ გენერალს ცხრაწყაროს ეკლესიის მამული ჰქონდა კომისიისაგან იჯარით აღებული წელიწადში, მშვენიერი სახნავი მიწა ოთხ მანეთად და ათ შაურად. ამ მოიჯარადრეს ცხრა წლის განმავლობაში არ ჰქონდა შეტანილი საიჯარადრო ფულები და ან ვინ გაბედავდა ფულები მოეთხოვა გენერალისათვის! ეს მამული ჩამოერთვა ხსენებულ პირს და გლეხებმა პირველად დაირჩინეს ვაჭრობით ას მანეთად და დღეს დღეობით რვა თუმანი შემოდის ყოველ წლობით. ასე მოხერხებით და ბოროტად დამცირებულ ფასად გაცემულ მამულების იჯარის ფულით შესდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა ასოცდაათი ათასი მანეთი წლიურად შემოსატანი სახაზინო უწყებიდან, რომელსაც დღეს იღებს იმერეთის ეპანხიის სამღვდელო წოდება ხაზინიდან. ეს ფულები, როგორც მამულების ფულები უნდა იხმარებოდეს სასულიერო უწყებისაგან იმაზე რაზედაც ამ მამულების შემოსავალს ხმაროობდენ. მაგრამ ბევრს ჰგონია, რომ ეს ფულები, როგორც მოწყალება მთავრობისა, ისე ეძლევოდეს ხაზინისაგან სასულიერო უწყებას და ამისათვის სინოდის განკარგულ ბით იხმარება იმისთანა რამეებზე, რომელზედაც არც ერთი რუსეთის იმპერიის ეპარქიებში არ იხარჯება, მთელს რუსეთში ხაზინა ინახავს კათედრის ტაძრების კრებულთ, არქიერებს და მათ სასახლეებს კანცელარიებითურთ. ხაზინიდან ეძლევათ ჯამაგირები სასწავლებლების და სემინარიების ნორმალური კლასების მასწავლებლთა, აგრეთვე ხაზინა აძლევს სმჩუქრად დასაბინავებლად ერთ დროულად ჯამაგირის მესამედს. ჩვენში კი ამ მამულების შემოსავლიდან იფარება ხსენებული ხარჯები.

გაბედულად შეგვიძლიათ ვსთქვათ, რომ პატრონი ყოლებოდა და რიგიანი მართველები საეკლესიო მამულებს, ამ მამულების სახაზინო უწყებაში გარდაცემის დროს, არა თუ 30000 მანეთს, არამედ 200000 მანეთს შემოიტანდა. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეპისკოპოსები და არც მამულების მართველი-ბლაღოჩინები არ ზრუნავდნენ და თავს არ იტეხდენ მეტი შემოსავლისათვის...

როდესაც 1870 წელიწადში ეპისკოპოსებს იმერეთისას და სამეგრელოისას გამოუცხადეს, რომ პირველს მიეცემა გარდაცემული საეკლესიო მამულების ფასად ყოველ წლობით ხაზინიდგან 30000 მან. და მეორეს 20000 მ. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა!.. გამოუცხადეს სამღვდელოებას, რომ სამადლობელი პარაკლისი გადაეხადათ ამისთანა წყალობისათვის და ვინც მონაწილეობა მიიღო და დახმარება გაუწია სასულიერო უწყებას ამ მამულების გადაცემაში (ამ დროს ქუთაისში იყო ყველასაგან კარგად ცნობილი ლევაშოვი გუბერნატორად), მათ დღეგრძელობისათვის ღვთისადმი ლოცვა აღევლინათ...

სამეგრელოს ეპარქიასაც არ ყოლებია საეკლესიო მამულების მართველებად გამჭრიახი კაცები. აქაც ამ მმართველების წყალობით ძლიერ დაფოლვილი იყო მამულები. ერთ ნაჭერ ტყიან ადგილს ერთი უცხოელი სამეგრელოს ეპარქიაში აფასებდა მილიონ მანეთად. ამ ეპარქიის საეკლესიო მამულებიც კიტრის ფასად გარდაეცა სახაზინო უწყებას. დიახ, ასე დაჰკარგეს ძვირფასი მამულები თვითონ ჩვენმა მღვდელმთავრებმა და საეკლესიო მამულების მმართველებმა,—და რა შუაშია აქ ექსარხოსები? ჩვენივე საქმე ჩვენებმა წაახდინეს და სხვას აბრალიან. სიმართლე ითხოვს როცა ჩვენგან წამხდარ საქმის შესახებ ვსჯით ჩვენიანების დამნაშაობაც უნდა მოვიხსენიოთ.

გაგრძელება ექნება.

დეკ. დ. ლამბაშიძე.

---

# მოკლე შეტყობინება

## გაზეთ „შინაური საქმეების“ შინაურ საქმეებისა გამო.

მესამე წელიწადია, რაც ქუთაისში გამოდის ყოველ-კვირეული სასულიერო გაზეთი „შინაური საქმეები“ და 15 აგვისტოს.. კიდევ გამოვიდა № 26 თუმცა ბედკრულ გაზეთის დროზე გამოსვლა არავის შეტყობია. გონება ზნეობის განვითარების მხრივ და არც მისი შეჩერება-წაბორძიკება შეუმჩნევია მკითხველ საზოგადოებას, მაგრამ რედაქცია მეთაურ წერილში დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავებ-მეგობრებს, რომ „ეს თვე ნახევარია, რაც გამოცემა შეჩერებულია“. არ გეგონოთ კი, რომ ადმინისტრაციის გულის წყრომამ, ან მოსამართლის მართ-მსაჯულებამ შეაჩერა გამოცემა. საქმე სხვანაირად ყოფილა. „შეჩერებულია არა იმიტომ,—ამბობს რედაქცია,—რომ დავიღალეთ, მოგვწყინდა, ან მიმართულებას ვუღალატეთ, არა. მიტომ (ორთოგრაფია რედაქციისაა) შეჩერდა, რომ არსებობის სახსარი შემოაკლდა. რედაქტორი მდიდარი არა ყავს, რომ თავის ხარჯით აწარმოვოს, ხელისმომწერნი კი, რომლებიც სამას ძლივს აღემატებიან, ნახევრობით ფულს არ გვიგზავნიან“...

უფულოდ კი, რასაკვირველია, არაფერი კეთდება ქვეყნად. მაგრამ რა მიზეზია, რომ გაზეთს „არსებობის სახსარი შემოაკლდა“, რომ „ხელისმომწერნი სამას ძლივს აღემატებიან“ და ისინიც „ნახევრობით ფულს არ გზავნიან“ თურმე? რედაქციის აზრით, ამ სამწუხარო მოვლენის უმახლობელესი მიზეზია „სამღვდელოების სიძაბუნე, დაქვეითება, დაზანტება, ყურ-მოთელილობა სარწმუნოები-

სადმი და თავის მოვალეობის შეუგნებლობა", ხოლო ეს მიზეზი „უმეტეს შემთხვევაში სას. მართებლობის ბრალია", რადგანაც „მართებლობა გულგრილათ ჰკიდია (!?) თავის საქმეს, არ აქეზებს, არ ახალისებს სამღვდელოებას, არ სდევნის მცონარებს, არამედ წინააღმდეგ აჩინოვნიკებს და აწინაურებს იმათ, ვინც კაი ჭამა იცის და კაი ძილი, ვინც არაფერს კითხულობს, არაფერს სწერს, არ ადევნებს თვალ-ყურს თანამედროვე ცხოვრების მიმდინარეობას, არ ქადაგობს, არ იღვწვის სარწმუნოების განმტკიცებისა და ხალხში სინათლის შეტანისათვის".*)

სამწუხაროა, მაგრამ სრული სიმართლეა ასეთი დახასიათება როგორც სამღვდელოებისა. ისე სას. მთავრობის ტაქტიკისა. თუ, ეროის მხრივ, ჩვენი სამღვდელოება მართლა ძლიერ დახურდავდა, განმაცხოველებელ-შემოქმედებითი მუშაობის უნარს დიდის ხნით გამოესალმა და დღეს მხოლოდ საკუთარი ცხოველური არსებობა აინტერესებს, მეორე მხრით „დამშვიდების" პოლიტიკით გატაცებული მთავრობა უსიცოცხლო და „უვნებელ" ელემენტის ჭეშმარიტი მეგობარია. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ამ ორმაგ ჭეშმარიტებას არა აქვს-რა საერთო. გაზ. „შინაურ საქმეების" საფულე ყუთის დაცალიერებასთან და ვერც ერთი ამ გარემოებათაგანი ვერა ხსნის, თუ რად შემოაკლდა გაზეთს არსებობის სახსარი. და ბევრიც რომ განგვიმარტონ, მაინც ვერ დაგვაჯერებენ, რადგანაც ა) ვერავითარი მთავრობა, ლიბერალური იქნება თუ დესპოტიური, ვერც ერთ მხარეში, სადაც კი განათლების ხსენება არის, ვერავის და, კერძოდ სამღვდელოებას, ვერ დაავალებს ჩვენს დროში თავისუფალ გაზეთის გამოწერას თუ ოფიციალურ ორგანოდ არ აქცია ის) და მით უმეტეს წაკითხვას და ბ) როგორც დღევანდელი სინამდვილე მოწმობს, ქართველ სამღვდელოებაზე უფრო დაძაბუნებულ-დაქვეითებულ წრეებს ეინტერესებათ დღეს საზოგადო საკითხები და საცხოვრებისო რამესი წაკითხვა და იგივე სამღვდელოება, რომელსაც ზურგი შეუქცევია „შინაურ საქმეებისათვის", ბეჯითად კითხულობს საერო ჟურნალ-გაზეთებს.

მაშასადამე, ჩემის აზრით „შინაურ საქმეების" დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ,—ე. ი. თვით გაზეთის შინაურ საქმეებში. ამ მხრივ ძლიერ საყურადღებოა, რაც წამოსცდა რედაქციას. „როგორც დარწმუნდებოდა მკითხველი საზოგადოება,—სწერს მოწინავე წერილის ავტორი, - ჩვენ (თუ ჩვენს?) გამოცემას არავითარი პარტიული, ან იწრო (თუ ვიწრო?) ნაციონალური მიმართულება არა აქვს". გვჯერა და ჩვენის მხრით დაუმატებთ; რომ „შინაურ საქმეებს" არამც თუ ვიწრო ნაციონალური, სრულებით არავითარი ნაციონალური მიმართულებაც არა აქვს. თუ ეს თავის ქებაა, ცუდი თავის ქებაა ხოლო თუ გამოფხიზლება და შეცდომის შეგნებაა, ძლიერ სასიხარულოა რადგანაც შეგნებას გასწორების სურვილი მოსდევს. დროა შეიგნოს „შინაურ საქმეების" რედაქციამ, რომ ქართველ სამღვდელოებას, ვისთვისაც ის თავს იტკივებს, ესაჭიროება სწორედ ნაციონალურ მიმართულების სასულიერო ორგანო, ნამდვილად ეროვნული და წმინდა ეროვნული. სწორედ ეს ხასიათი აკლია დღეს „შინაურ საქმეებს" და მხოლოდ ამ მიზეზით ვერ იკიდებს ის ფეხს ქართველ სამღვდელოებაში, რომელიც რაც უნდა არივ-დარიო, დაქსაქსო და დაკუწო მაინც ქართველია, ქართველურის ეროვნულ ცხოვრებით ცხოვრობს და ქართულად აზროვნებს თუნდაც იმიტომ, რომ ზოგი ჭირი მარგებელია და მით უმეტეს ნაწილისთვის უცხო ხილია ის პოლიტიკანური შკოლა, რომელიც ეროვნულ ელფერს სამუდამოდ უკარგავს ჩვენს „ნასწავლ" ახალთაობას და ეროვნულად ამახინჯებს მას. დღევანდელს პირობებში ქართველი სამღვდელოება ვერ შეჰქმნის იმაზე მდიდარ საღვთის-მეტყველო თუ ერთობ სასულიერო ლიტერატურას, რაც რუსეთშია და რასაც მას ნება- უნებლივ აკითხებენ. მაშასადამე, რუსეთის საღვთისმეტყველო თუ სასულიერო მწერლობის მსგავსი, მის ყალიბზე გამოქნილი და მხოლოდ ქართულ სიტყვა-ასოებით დასტამბული სასულიერო გაზეთი ჩვენში ვერც გავრცელდება და ვერც სამსახურს გაუწევს სამღვდელოებას. ქართველ სამღვდელო პირს, რომელსაც მოჭარბებულიცა აქვს რუსეთის სასულიერო ჟურნალ-გაზეთების ზოგადი აზრები, ესაჭიროება ნამდვილი ქართული, ქართულ მიმართულების და ეროვნულ ეკლესიის ბედ-იღბალის გამომრკვევი ორგანო და რომელი გამომცემელიც ასეთ ორგანოს ვერ შეჰ-

*) რომ მართალი იყოს „შინაური საქმეებ-"ის რედაქციის სიტყვები უნდა დავრწიუნდეთ, რომ ამ გამოცემის რედაქტორი დიდათ დაჯილდოვებული უნდა იყოს სასულიერო მთავრობისაგან.

„მწყემსი"-ს რედაქცია.

ქმნის, ვერც ზნეობრივ პატივცემას და ქონებრივ დახმარებას მოითხოვს ქართველ სამღვდელოებისაგან.

ავიღოთ, მაგალითად, იმავე ნომერში დასტამბული აბდა-უბდა ონოფრე მწერისა „ორიოდე სიტყვა მონაზნობის შესახებ“ (გვ. 10—12), რომელიც ვითომ პასუხიც არის „განდეგილის“ ბრალმდებელის ვლ. ბაქრაძის სიტყვისა, თითქოს საკითხის მეცნიერული სარკვევიც არის, ვითომც მორწმუნე ადამიანის გულახდილი აღსარებაცაა და ნამდვილად კი უთავბოლოდ ამოკრეჭილია “სტრანნიკი“, „ბაღოსლოვსკი ვესტნიკი“, „ხრისტიანსკოე ჩტენიე“ და სხვა ჩვეულებრივ წიგნაკებიდან, რომელნიც უეჭველია ონოფრე მწერზე ადრე წაიკითხა ქართველ სამღვდელოების უმეტესობამ მაინც ასეთ წერილებს შეიძლება ადგილი მიეცეს -უცხოენების გამოცემებში, რომ უცხოელებმა გაიცნონ რუსეთის მწერლობის აზრი მონაზნობის შესახებ, მაგრამ სრულებით მეტია ქართველ სამღვდელოებისთვის, რომელსაც უკვე მობეზრდა რუსულ საეკლესიერო ჟურნალ-გაზეთების ზოგადი აზრები, რომელსაც მას უჩიჩინებენ შკოლიდან კუბომდის. ან კიდევ სასაცილოა, მეტი რომ არ ვთქვათ, მკითხველი გახადო თანაზიარი „მარტვილელი მღვდლის“ ვაჭრულ აღტაცებისა, რომ ეპისკოპოსმა, მარტვილში „წისქვილი მონასტრისა, რომელითაც, ვინ იცის, რამდენი კერძო პირი სარგებლობდა-ჩამოართვა ყველას, გააკეთა სამუდამოთ და მიუჩინა მონასტრის ბერებს საჭმელათ“ (?!?).

არ არის გასაკვირველი, რომ არსებობის სახსარს მოკლებული იყოს ყოველკვირეული გაზეთი, სადაც ყოველი სტრიქონი ძვირფასი უნდა. იყოს და მართლა საქმეს უნდა ხმარდებოდეს და რომელშიაც საქმის ნაცვლად ასეთ ლათაიებს ათავსებენ. ცხადია, რომ გაზეთ „შინაურ საქმეების“ უნუგეშო მდგომარეობის მიზეზი მისივე შინაურ საქმეებს არევ-დარევა, გამოურკვეველობა, უპრინციპობა, გარკვეულ პროგრამის უქონლობა, გარეშეთა მიბაძვა და შინაურების დავიწყებაა და არა ქართველ სამღვდელოების დაქვეითება. ქართველი სამღვდელოება არამც თუ დაქვეითდა, ძლიერ და ძლიერ დაქვეითდა, მაგრამ ამითი ყველა გამომცემლის თუ ვაჭრის უთაობა და უნიჭობა როდი აიხსნება!

ახელი.

P. S. „შინაურ საქმეების“ რედაქცია აცხადებს, რომ ხელის მოწერა მიიღება სხვათა შორის თბილისში, გამომცემელთან სომხის ბაზარში“. მორჩა და გათავდა-არც სახლი და არც ნომერი. ამ დღეებში ერთმა მღვდელმა, რომელსაც ალბად გული დაეწვა რედაქციის ტირილზე, კარგა ხანი ეძება გამომცემელი, გაზეთი გამოეწერა, მაგრამ ვერ იპოვა და თავი დაანება, რადგანაც ფოსტაში რამოდენიმე საათით სადგომად არ ეცალა. ესეც რედაქციის უნიჭობის ნაყოფია, რომ დაწვრილებითი ადრესი ვერ დაუწერია. ხშირად ოტიშევის ქუჩაზედ გუბერნატორის კანცელარიას ვერ პოულობენ ჩამოსულები და აბა სომხის ბაზარში უნომროდ და უგზო-უკვლოდ როგორ უნდა იპოვნონ პაწაწინა გაზეთის ვილაცა გამომცემელი. მოდი და ამ მღვდელს დაემდურე, რომ არ გამოიწერა გაზეთი.

ახელი.

სრულებით ვეთანხმებით პატივცემულ ახელის აზრს და საჭიროდ ვრაცხთ მისი შენიშვნა ჩვენს მკითხველებსაც გავაცნოთ. ჩვენის მხრით საჭიროდ ვრაცხ ორიოდე სიტყვა დაუმატოთ. ყოველ სამღვდელოების კრებაზე მამა სიმონ მჭედლიძე ბევრს ლაპარაკობდა ჟურნალის გამოცემის საჭიროებაზე და ბევრს რამეს პირდებოდა სამღვდელოებას ჟურნალით და წიგნაკების გავრცელებით. ჩვენ და ბევრ სამღვდელოებას არ გვჯეროდა მამა სიმონ მჭედლიძის დაპირება, რადგან იმას ჟურნალის და სამისიონერო წიგნაკების გამოცემით ჰქონდა სახეში თავის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება. ბოლოს სამღვდელოების კრება და საზოგადოება, დაარწმუნა რომ მან უკვე ოცი ათასი მანეთის სტამბა და მამული შეიძინა. ამ ხმით და პატარა სტამბის მოტანით თფილისიდან დაარწმუნა სამღვდელოება და ათას ხუთას მანეთამდე რაღაც ფულები მიიღო, რომელიც უნდა გადაეხადა სტამბის

შემოსავლიდან. ეხლა გავიგეთ, რომ ოცი ათას მანეთად საღირალი სტამბა თფილისიდან მამა სიმონ მჭედლიძის მოხერხებით მოტანილი უკანვე წაუღია სტამბის პატრონს და სამისიონერო ძმობისათვის დაუტოვებია ექვსასი მანეთის ვექსილი და რაღაცა სამისიონერო წიგნაკები! დანამდვილებით ვიცით, რომ ვექსილით ფულს ვერასოდეს ვერ ამოიგებენ. რაიცა შეეხება წიგნაკების გასაღებას არც ამ წიგნაკებიდან შემოვა ერთი კაპეიკი. ჩვენ დიდი ხანია ვბეჭდავთ წიგნაკებს და შეკრებილიც გაქვს სხვა და სხვა პირთაგან გამოცემულნი რომელთაც მუქთად ურიგებთ სამღვდელოებას ხალხში გასავრცელებლად და, წარმოიდგინეთ, ხშირად წიგნების მიმღებთ ვერ ვპოებთ!... დიახ, ტყუილად ფიქრობენ ზოგიერთები ხელის მომწერთაგან შემოსულის ფულებით და წიგნაკების ყიდვით გამდიდრებას.

„მწყემსი"-ს რედაქცია.

## ვისი ბრალია?

როცა საზოგადოება სასტიკად განსაზღვრულ პრინციპებით არ ხელმძღვანელობს და არ მოქმედებს, როცა იგი დოგმატიურის სიწმინდით არ იცავს საზოგადოებრივობის პრინციპებს, როცა იგი ამ უკანასკნელთა დარღვევას თავისი წმინდათა შეურაცხყოფად არა სთვლის, მაშინ უბედურება და უიღბლობა უცაბედი შეთხვევა და მოულოდნელი ფათერაკი კი არა ლოგიკური აუცილებლობაა. ჩვეულებრივ დროს საზოგადოება ნაკლებ ანგარიშს უწევს პრინციპებს, ნაკლებ ფიქრობს იმ შედეგზე, რომელიც აუცილებრივ მოჰყვება საზოგადოებრივ უპრინციპობას, მაგრამ უბედურების და განსაცდელის შემდეგ მაინც საჭიროა, განიხილოს და შეაფასოს საზოგადოებამ პრინციპიალურად თავისი მოქმედება.

ეჭვს გარეშეა, რომ ის უბედურება, რომელიც დაატყდა თავს ქართულ გიმნაზიას და რომელმაც შეურაცხყო ქართველ საზოგადოების საუკეთესო მისწრაფებანი და მიდრეკილებანი, ჩვენის საზოგადოებრივის უპრინციპობის ლოგიკური დასკვნაა. სათავად-აზნაურო გიმნაზია ხომ ერთ ერთი ჩვენი საუკეთესო ეროვნული დაწესებულებაა, რომელიც ჩვენმა მოწინავე მოღვაწეებმა დაარსეს. მოსალოდნელი იყო, რომ დაწესებულება, სადაც უნდა აღიზარდოს მოზარდი თაობა—ეს იმედი ხალხისა ქართველ საზოგადოების სათუთ მზრუნველობის საგნად იქცეოდა, მოსალოდნელი იყო, რომ ქართველი საზოგადოება ამ წმიდა საქმეზე არამც თუ მარტო ფულს, არამედ მოახმარებდა მთელ თავის გონებრივ და ზნეობრივ ძალღონეს, მოსალოდნელი იყო. მაგრამ.. გიმნაზიის არსებობის მთელი ისტორია შეურყევლად ჰმოწმობს, რომ ქართველი საზოგადოება არასოდეს ახლო არ იცნობდა თავის გიმნაზიას, ისე როგორც არ იცნობს დღეს. უფრო მეტს ვიტყვით. გიმნაზიის საქმეებს არ იცნობდნენ საზოგადოების ის წარმომადგენელნიც კი, რომელთაც სკოლის გამგე კომიტეტში ირჩევდნენ. ამასთან საზოგადოებას, როგორც სჩანს, ავიწყდებოდა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ საზოგადოებას მოწყვეტილი და ალალ ბედზე მიგდებული სკოლა წესიერად ვერ განვითარდებოდა. გამგე კომიტეტის წევრები კი თითქოს არასოდეს არ ექვემდებარებოდნენ საზოგადო მოღვაწეობის ელემენტარულ პრინციპს, რომ კაცმა ან უნდა აასრულოს საზოგადოების, სკოლის და ხალხის წინაშე ნაკისრი მოვალეობა, და ან სულ არ უნდა იკისროს ეს მოვალეობა. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ეხლანდელი შემთხვევაც, რომელსაც, როგორც ირკვევა, კაი ხანია ამზადებდნენ, გამგე კომიტეტის წევრებმა ბათუმისა და ბაქოს მცხოვრებლებზე უგვიანეს შეიტყვეს. არავისთვის დაფარული არ არის, რომ კომიტეტის ნაცვლად აქამომდე მუდამ მხოლოდ იმის ორიოდე წევრი მუშაობდა და მუშაობს; ცნობილია აგრეთვე, რომ ეს წევრები ზოგჯერ ათ ათი წლობით განაგებდნენ სკოლის საქმეებს თვითნებურად და დესპოტურად. პედაგოგიურ საბჭოს გავლენა და როლი სკოლის საქმეებში უარყოფილი იყო, გიმნაზიის დირექტორს ზოგჯერ უფრო ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სასკოლო ადმინისტრაციის ან სამეურნეო ნაწილის იმ წვრილმან მოსამსახურეებს, რომელნიც კომიტეტის ძლავრ წევრების ნდობით იყვნენ აღჭურვილნი. სკოლის ამ გვარ გამგებლობის ნაყოფი საზოგადოების ერთის ნაწილისთვის ცხადი შეიქნა მხოლოდ ამ რამოდენისამე წლის წინად, როცა გიმნაზიის მართვა-გამგეობის რეფორმაზე დაიწყეს ხმა მაღლა ლაპარაკი. სწორედ მაშინ გამოჟღავნდა, რომ სკოლაში პედაგოგიური

საბჭო, როგორც კორპორაცია, შემდგარი წმინდა საქმის სამსახურისათვის და ამიტომ ზნეობრივ ავტორიტეტის მატარებელი, არ არსებობდა. მაშინვე გამოირკვა სხვათა შორის, რომ სკოლას არ მოეპოვებოდა ბევრი საჭირო სასწავლო ნივთი და წიგნები, თუმცა ამ საჭიროებისათვის თავად-აზნაურობა სკოლას ყოველ-წლივ 2–4 ათას მანეთს აძლევდა.

მაშინ სკოლის მართვა-გამგეობა რამდენმე შესცვალეს, პედაგოგიურ საბჭოს შედგენილობაც ცოტათი განაახლეს. მაგრამ არსებითაც ამით საქმე ნაკლებ გამოსწორდა, ნაკლებ. გაუმჯობესდა. საზოგადოება როგორც ყოველთვის, ახლაც გულგრილად ეკიდება სკოლას ხოლო პედაგოგიური საბჭო კი ორ-სამ წელიწადში ვერ შეიცვლებოდა ძირიან-ფესვიანად. ასე უეცრივ ვერ შექმნიდა იმას რაც ნელ-ნელა უნდა აშენებულიყო წინა წლებში პედაგოგიურ საბჭოს ახასიათებს ერთის მხრივ ხელმძღვანელ ტრადიციების და კორპორატივობის უქონლობა და იდეურ კავშირის შეუკვრელობა სახალხო საქმისადმი სამსახურის სახელით, ხოლო მეორეს მხრივ ქი·ინტრიგები. უსიამოვნობა ერთმანეთში პირად ინტერესების ნიადაგზე და ზოგჯერ მუშტის მოხმარება, როგორც აღმზრდელობითიც საშუალების.

და განა საკვირველია, რომ ასეთ პირობებში პედაგოგებს ავტორიტეტი არა აქვთ და პატივისცემა ვერ მოუპოვებიათ? განა საკვირველია, რომ ასეთ პირობებში აღმოჩნდნენ ველური „ჯიელები“, რომელნიც მხეცურად მოექცნენ თავის აღმზრდელებს?

უველაზე სამწუხარო და სავალო ამ საქმეში ის გარემოება, რომ სკოლის უწესოება ჩვენის საზოგადოებრივი ცხოვრების პირდაპირი ანარეკლია, იმდენად პირდაპირი, რომ სკოლის და საზოგადოების უწესოებანი თავისუფლად ესხმიან ერთ ლოგიკურ ძაფზე. ჩვენს საზოგადოებასაც სრული უპრინციპობა, ინტრიგანობა და საზოგადო საქმეში პირად ინტერესების შეტანას ახასიათებს. ამ მიმართულებას ტონს აძლევს საზოგადოებას პრესსის ერთი ნაწილი, რომელიც ზნე-ჩვეულებათა პირველყოფილ გაველურებამდე დაეცა. ზოგიერთი ჩვენი პუბლიცისტები მუშტებს უკეთ იქნევენ ვიდრე კალამს. ჩვენი საზოგადოება კი პროტესტს არ აცხადებს იმ გვარ სალიტერატურო ზნე-ჩვეულებათა გაველურებისა გამო, იმას ეს თითქოს წესიერად მიაჩნია. როცა ამას წინად ერთი პუბლიცისტი მუშტით გაუსწორდა თავის მოპირდაპირეს, საზოგადოებამ თავის ერთსულოვანი აღშფოთება არ გამოაცხადა, ხმა მაღლა არა სთქვა, რომ ველურ საქციელს კულტურულ წრეებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. პირ იქით, საზოგადოების ერთი ნაწილი თითქოს პირდაპირ თანაუგრძნობდა ლიტერატორ მოკრივეს, პრესსის ერთი ნაწილი კი მთელის კვირის განმავლობაში ეწეოდა მუშტის უფლების აპოლოგიას. მაშ, გვიბოძეთ ნება ვიკითხოთ, თუ ლიტერატორს შეჰფერის სცემოს თავის ამხანაგს, თანამოკალმეს, რატომ არ შეიძლება ასევე მოიქცეს მოსწავლე თავის მასწავლებლისა და აღმზრდელის შესახებ? ანალოგია ხომ სრულია წვრილმანებშიაც კი. აკი გაველურებული მოსწავლეც, რომელმაც შეახო ხელი თავის ხელმძღვანელებს, ჩაკადნიერდა და დაბეჭდა მუშტის სააპოლოგიო წერილი!

შეუფარდეთ ერთმანეთს ჩვენის საზოგადოების სხვადასხვა სფეროდან ამოღებული უარყოფითი მოვლენანი, რომელნიც აქ ჩვენ მხოლოდ გაკვრით აღვნიშნეთ, და თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ მოვლენებს შემაერთებელი ძაფი აქვთ და ურთი ერთისაგან არიან დამოკიდებული. საკმაოა ჩაუფიქრდეთ ამ ფაქტებს და მათ შუა არსებულ კავშირს რომ ნათლად გამოსჩნდეს პასუხი იმ კითხვაზე, თუ ვისი ბრალია ეხლანდელი უბედურება.

ამ გვარად, იძულებული ვართ, გამოვთქვათ ძველი, მაგრამ ამასთანავე ჩვენთვის მარადის ახალი ჭეშმარიტება, რომ საჭიროა მტკიცე იდეურ და პრაქტიკული მუშაობა ჩვენ ზნე ჩვეულებათა გასაწმენდათ, საზოგადოებრივ პრინციპების ასაზრდელად და კულტურულ ჩვეულებათა შესათვისებლად მაგრამ ამ ჟამად ჩვენ გიმნაზიაში მომხდარ უბედურებათა პირისპირ და სასკოლო საზოგადოების კრების მოლოდინში ვიმყოფებით. ამიტომ მოუწოდებთ ქართველ საზოგადოებას ყველა საღს და საუკეთესო ელემენტებს, ენერგიულად მოეკიდნენ გიმნაზიის საქმეს და აუცილებლივ განახორციელონ შემდეგი:

1) სრულიად და დაწვრილებით მოიყვანონ ცნობაში ის პირობები, რომლებიც იწვევენ უწესოებას სკოლის ცხოვრებაში.

2) ამოირჩიონ გამგე კომიტეტში ენერგიული და პრინციპალური საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც მზად არიან მართლა იმუშაონ და არა მარტო ირიცხებოდენ გამგეობის წევრად.

3) მისცენ ახალ გამგე კომიტეტს პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად, თუ საჭიროდ დაინახეს,

გასწმინდონ გიმნაზია ყველა უვარგის მოწაფეებისაგან.

4) რამდენადაც მოსახერხებელი იქნება, განაახლონ თვით პედაგოგიური შედგენილობა.

(სახალხო გაზეთი„.)

---

# პორტუგალია

გაზეთების მკითხველებს დეპეშებიდან ეცოდინებათ, რომ რევოლუციის მძლავრმა ქარიშხალმა შემოუქროლა პატარა სამეფოს—პორტუგალიის და მისი წეს-წყობილება მირიანად შესცვალა. აქ უკვე რესპუბლიკა იქმნა გამოცხადებული.

პორტუგალია ძლიერ პაწია სახელმწიფოა, სივრცით კავკასიის მეოთხედს თუ უდრის. მცხოვრებთა რიცხვიც მცირეა, სულ 5 ნახ. მილიონი.

პორტუგალია მდებარეობს ატლანტიის ოკეანის პირად, ისპანიის გვერდით.

ეს პაწია სამეფო არა ერთხელ გადაქცეულა სისხლის ღვრისა და ამბოხების ასპარეზად. ადგილობრივი პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ეცილებოდნენ უფლებათა ხელში ჩაგდებას და მით თავის მალის განმტკიცებას.

პირველი დიდი ამბოხება პორტუგალიაში იყო 1828 წელს.

1832 წელს ტახტიდან ჩამოგდებულმა მეფემ პედრომ ოპორტოს თავისი მომხრე ჯარი შემოარტყა.

აჯანყება მოხდა 1864 წელსაც.

1889 წელს პორტუგალიაში კვლავ დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობა. ცოტა გაწყდა მეფის ტახტი არ დასცეს.

წარსულ საუკუნის პირველ წლებში პორტუგალიამ დაჰკარგა თავისი ყველაზე უდიდესი და უმდიდრესი ახვლმენი ამერიკაში—ბრაზილია. აქ ცალკე რესპუბლიკა იქმნა დაარსებული.

ახლა პორტუგალია, როგორცა ვსთქვით, სულ პაწია სამეფოა და საერთოდ მალზე ღარიბი ქვეყანა, თუმცა პორტუგალიელები მხნე და მუყაითი ხალხია. ამ მხნეობის ბრალია, რომ პორტუგალია განათლებულ ქვეყნად ითვლება. სხვა კულტურული დაწესებულებანიც რომ არ დავასახელოთ, საკმარისია ვსთქვათ, რომ პორტუგალიაში 15 უმაღლესი სასწავლებელია.

შფოთი და ამბოხება პორტუგალიაში სხვა და სხვა ნიადაგზე ხდებოდა. ხან სამეფო გვარეულობის წევრნი გამოიწვევდნენ ხოლმე ამ ამბოხებას, ხან კი ათასის გადასახადებით შევიწროებული ხალხი მოთმინებასა ჰკარგავდა ხოლმე და აჯანყდებოდა.

პორტუგალიის უკანასკნელი მეფე მანუელ მეორე ტახტზე ავიდა 1908 წ. მის შემდეგ როცა მისი მამა და უფროსი ძმა ლუი ფილიპე რევოლიუციონერებმა მოჰკლეს.

მანუელ მეორე ჯერედ უწლო ვანო იყო და როგორც ეტყობა, სამეფოს მოვლის ნიჭიც ვერ გამოიჩინა.

უკანასკნელ დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ მეფე გაიქცა და აჯანყებულებმა პორტუგალიაში რესპუბლიკა გამოაცხადეს.

## ახალი წინასწარმეტყველი.

პერმის გუბერნიის ირმიტის მაზრაში გამოჩენილა ვილაც მიხეილ ბოლშაკოვი, უნტერ აფიცერი, რომელიც თავის თავს „დანიელის წინასწარმეტყველებისამებრ თავად მიხეილად აღიარებს“ და ადგილობრივ სამღვდელოებასთანაც ბოლშაკოვი თურმე ძალიან კარგ განწყობილებაშია.

ბოლშაკოვის წინასწარმეტყველობის მიზანია ააგოს „ახალი სიონი“ სოფელ ჩუმბოროვისა და ბეზსონოვოს შუა, მდ. ნიცის ნაპირის ერთ მაღლობ ადგილზე. ეს „ახალი სიონი“ სულ მთლად გაივსება კაცთა და ქალთა მონასტრებით და იქნება ზღუდე და საფარველი სარწმუნოებისა და მისი წინასწარმეტყველებისა. აი რასა სწერს თავის თავზე ბოლშაკოვი:

„საქმეთა მღვთისათა წმინდასა ამასა მთაზე გაუწყებთ საყვირითა, არა მოტყუებით, არა ხორციელისა ჭკუითა, არამედ სულითა წინასწარმეტყველისათა, სულის წმიდით. ამისთვის მომიწოდა ღმერთმა და ამირჩია დედის საშოდან, არჩეული ვარ იერუსალიმის მღვდელთაგან პატრიარქ დამიანეს ბრძანებით. ისინი იყვნენ ჩემი მშობლების სახლში და მომიწოდეს აღსაშენებლად პატრიარქისა და იოანნე კრონშდატელის კურთხევით. მე ვეპყარები წმ. ბიბლიასა, ისაიასა და მიხეიას წინასწარმეტყველებაზე... წინასწარმეტველ დანიელის წიგნის მე-12 მუხლში ნათქვამია რომ ჟამსა ერთსა აღსდგება მიხაილი, დიდი თავადი. თავადმა მან უნდა დაამარცხოს ლევ ტოლსტოი,—ანტიქრისტეს წინამორბედი. მე ვმოქმედობ, ვწერ და გაუწყებთ ყველა ამას მთავარ ანგელოზს მიხაილის შთაგონებით, იმან ამირჩია თავის იარაღად, ხოლო ეშმაკი აირჩევს ანტიქრისტეს ებრაელების მხრივ, რომელსაც იესო ქრისტე მოჰკლავს თავისი სიტყვის ძალით... მამა იოანე კრონშდატელის ნახვის შემდეგ ბევრი დამცირება და გინება ავიტანე. სამაგიეროდ უფალმა ამიხსნა ამ მთის დიადი საიდუმლოება და მომცა საყვირი იგი, რომლითაც ამ მთიდან უნდა უყვირო მთელს ქვეყნიერობას“.

ბოლშაკოვის მოგონება დევნის შესახებ აიხსნება იმით, რომ კრონშდატელთან ყოფნის შემდეგ, ბოლშაკოვი პეტერბურგში გაგზავნეს, სადაც იგი წმ. ნიკოლოზის საავადმყოფოში იმყოფებოდა, როგორც სულით ავადმყოფი.

ბოლშაკოვის მოწოდებას მონასტრების გახსნის შესახებ გლეხნი თანაგრძნობით შეხვდნენ. პირველად ის თხოულობდა დაარსებულიყო კაცთა და ქალთა მონასტერი ერთად, ახლა კი თანახმაა ორი მონასტერი დაარსოს ცალ-ცალკე კაცთა და ქალთათვის, ხოლო ერთმანეთის ახლო კი. ადგილიც ამოირჩია და ახლა უკვე დაარსდა რაღაც ქალების მონასტრის მაგვარი.

მონასტრების ასაშენებლად ბოლშაკოვმა მშვენიერი ადგილა აირჩია მაღალ გორაზე მდ. ნიცასა და ტიუმენ-ირმიტის გზის ახლო. იქ აშენებულ ქოხებს გარს არტყია ტირიფის ტყე. ხეებზედ ყველგან გაკრულია „ღვთაებრივი სურათები“ და ხელთნაწერი მოწოდებანი და სწავლა მიხეილ ბოლშაკოვისა.

ახლად გამოჩენილ „წმინდანებს“ რომ უფრო მეტი ყურადღება მიეპყრათ, ამ გაზეთულზე განიზრახეს საკვირველ მოქმედება მოეხდინათ „გამოცხადებული ხატით“. ხატი იპოვეს წყალზე „წმ. ადგილის“ პირდაპირ, მაგრამ განზრახულ საკვირველ მოქმენდებამ შესაფერი გავლენა ვერ მოახდინა, ვინაიდან ერთმა დურგალმა უდროო დროს დაიყბედა: „გამოცხადებული ხატის“ ჩარჩო მე გავაკეთე „წმ. მონასტრის“ შეკვეთითთაო.“

---

## ახალი ამბები და შენიშვნები

*** ეპისკოპოს ევლოგის პროკლამაციები. ეპისკოპოსს ევლოგის ზამოსტიეში ყოფნის თროს ხალხში პროკლამაციები გაუვრცელებია, რომელიც მიმართული იყო კათოლიციზმისა და პოლონელების წინააღმდეგ.

ერთ პოლონურ გაზეთში მოყვანილია ამ პროკლამაციების ტექსტი:

„კათოლიკური სარწმუნოება ქრისტესი კი არ არის, არამედ-პაპისა და პანების (ბატონების). ვინც მართლ-მადიდებლობიდან კათოლიკობაში გადასვლას მოისურვებს, ის მოღალატეა, რადგან ის პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლონელათ ხლება და ცდილობს პოლონეთის დამოუკიდებლობა აღადგინოს. გახსოვდეთ, პოლონეთის მცხოვრებნო, რომ თქვენი წინაპრები წინათ მართლმადიდებელნი იყვნენ. მათ ძალდატანებითა და მოტყუებით მიაღებიეს კათოლიკობა“.

⁂ **არეულობა ხოლერის გამო.** კონსტანტინოგრადის მაზრაში (პოლტავის გუბ.) გლეხები თავს დაესხნენ საერობო მოხელეებს, რომლებიც საჭირო ცნობების შესაკრეფათ იყვნენ მოსულნი. მოხელენი სოფლის შკოლის შენობაში დაიმალნენ. სოფლის მამასახლისი, რომელიც მოხელეებს გამოექომაგა, გლეხებმა გალახეს. მხოლოდ მღვდლის დარიგების შემდეგ დაიშალნენ აღელვებული გლეხები, რომელნიც საერობო მოხელეებს ხოლერის გავრცელებას აბრალიდნენ სოფლათ.

ს. ურაზოვაში (ვორონეჟ. გუბ.) პოლიცია გლეხებს ატუსაღებს, რრმლებმაც ამას წინათ მომხდარ არეულობაში მიიღეს მონაწილეობა. დატუსაღებულთა შორის ქალებიცაა.

⁂ **ვიატკის გუბერნატორის ოინები.** ვიატკაში გუბერნატორათ არის ცნობილი კამიშანსკი. დღეიდან თავისი დანიშვნისა კამიშანსკი შეუდგა საერობო დაწესებულებათა მოქმედების შეზღუდვას და მათში საკუთარი პოლიტიკის წარმოებას. ამ მიზნით ის სხვადასხვა თანამდებობაზე არჩეულ პირებს არ ამტკიცებდა და საკუთარი სურვილისამებრ ზევიდან ნიშნავდა, ვინც მოეხასიათებოდა ადმინისტრაციის უსაზღვრო თვითნებობას შედეგათ მოყვა ბევრი ბოროტ-მოქმედების ჩადენა დანიშნულ მოხელეთა მიერ. მაგ. სარევიზიო კომისიამ პასუხისგებაში მისცა ნოლინის სამაზრო თვითმართველობის მოხელენი, რომელთაც დიდ ძალი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩნდათ ჩადენილი. მარტო თვითმართველობის თავმჯდომარეს გაუფლანგავს 10,000 მანეთი. მოხელეები ყველა კამიშანსკისაგან არიან დანიშნული. ამ გარემოებას ჭკუა უნდა ესწავლებინა ვისთვისაც საჭირო იყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ნოლინის საერობო თვით-მართველობის თავმჯდომარის ადგილზე ხმოსნებმა სამი კანდიდატი დაასახელეს. კამიშანსკიმ არც ერთი მათგანი არ დაამტკიცა. ხმოსნებს მეტი საკანდიდატო პირი აღარ მოეძებნებათ და ამიტომ თავმჯდომარეს ისევ კამიშანსკი დაუნიშნავს, რასაკვირველია, თავისი ნებისაებრ.

⁂ **მონასტრების რაოდენობა რუსეთში და ხარჯი.** უწმ. სინოდი სცნობით, ამ ჟამად რუსეთში ყოფილა 812 მონასტერი, აქედან 421 მამაკაცთათვის და 391 ქალთათვის. საზოგადო რიცხვი ბერ-მონოზნებისა უდრის 68,770, აქედან ბებერია— 16,438, ხოლო მონოზნები 52,338. სინოდი ახალ საშუალებებს ხმარობს ბერ-მონოზანთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ეკლესიისა და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ! ამისათვის 31 მარიამობისთვეს სახ. სათათბიროში შეუტანია მთელი რიგი კანონპროექტებისა, რომ საპენსიო კასის დასაწესებლად გადაიდოს 600,000 მან. სასულიერო წოდებისთვის 500,000 საეკლესიო სკოლების გასამრავლებლად; 500,000 მან., ეკლესიების ასაგებად და 1,000,000 მანეთამდე უმაღლეს სასულიერო სასწავლებლების შესანახად.

⁂ **ქურდ-მონოზანი.** პოლოცკის სპისო-ეფროსინის მონასტერში და პოლოცკისა და ვიტებსკის ეპისკოპოსმა აღმოაჩინა მონასტერში 4,000 მან. გაუფლანგავთ. ფული გაუტაცნია მონასტრის დედა-იღუმენიას, რომელიც პეტერბურგს გაქცეულა,

⁂ **ვოსტორგოვის ოინბაზობა.** „раннее утро“-ს კორესპონდენტს უსაუბრნია ვოსტორგოვთან, რასაკვირველია, ისევ მის საგმირო საქმეთა შესახებ, ვოსტორგოვის სიტყვებიდან ისე სჩანს; რომ ყველა ეს ხმები მხოლოდ მოთქმაა, მას ნაკლებად აინტერესებს და თავის მოწინაღმდეგეთა ბრალდებებს სთვლის „პოლიტიკურ ბრძოლის საშუალებად“. —ასეთ შემთხვევებშიო“-ო, უთქვამს ვოსტორგოვს —ყოველთვის ჭუჭყიან თეთრეულის გადარეცხვას მოყვებიან ხოლმე. თუნდაც ყველა ეს ხმები მოზარდ ქალების პატივაყრისა და გახრწნის შესახებ მართალი იყოს, ეს სრულებითაც არ ეხება მონარქიულ ორგანიზაციებში მომუშავე დეკანოზ ვოსტორგოვს, როგორც მღვდელსა და მისსიონერს. ეს შეეხება ი. ი. ვოსტორგოვს, ვოსტორგოვს—როგორც კერძო კაცს. და ყველა ამას განა რა საერთო აქვს ჩემს პოლიტიკურ პარტიასთან და ჩემს საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან?

— რატომ ბრალმდებლებს ცილის წამებაზე არ უპასუხებთ, ან სასამართლოში რად არ იწვევთ?

— მე რომ მათ უპასუხო, უთქვამს არხეინად ვოსტორგოვს,—მაშინ მომიხდებოდა რამდენიმე საკორესპონდენციო ბიუროს გახსნა და აღარ შემე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლებოდა ჩემი დანიშნულება სისრულეში მომეყვანაო!“

*** **მთავარ-დიაკვნის დაპატიმრება.** როგორც გადმოგვცეს, სურამში დაუპატიმრებიათ ადგილობრივ ეკკლესიის მოხუცი მთავარი სოკრატ სულიაშვილი. როგორც ამბობენ, დაპატიმრებას კავშირი აქვს ამას წინად სურამში გიმნაზიელის მოტაცებასთან.

*** ამ დღეებში გარდაიცვალა ბაქოელი ნაფიცი ვექილი ბ მ. ცოლუხანოვი, რომელმაც დასტოვა—95.000 მან. ამ ფულიდან 20,000 მან. მიეცემა განსვენებულის ნათესავთ, 37,000 მანეთი—კაცთ-მოყვარე საზოგადოებას ბაქოში და —37,000 მან. ბაქოს სომხურ სამრევლო სკოლებს.

*** **სიკვდილ მისჯილის დეპუტატად არჩევა.** ამერიკის შტატ კენტუკში ამერიკული ახირებულობა მოხდა. კონგრესის დეპუტატად 7 ათასის ხმით აირჩიეს კალებ პოუერი. პოუერს კენტუკას გუბერნატორის მოკვლისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, შემდეგ. დიდი აგიტაციისა და გამოსარჩლებისა პაუერს სასჯელი კატორღით შეუცვალეს. ხოლო ორის წლის შემდეგ, „სახელმწიფოს მშვიდობიანობისა და ატეხილ ბრძოლის მოსასპობად“—პოუერს აპატიეს დანაშაული და კატორღიდან დააბრუნეს. და... მერე დეპუტატადაც აირჩიეს.

*** **ყალბი წამალი** 606. მოსკოვში მალე ისარგებლეს ერლიხის გამოგონებით და ყალბი წამლის დამზადება იწყეს. ვინმე ანდაევსკი, სამსახურიდან გადამდგარი შტაბს-კაპიტანი რუსეთის გაზეთებში აცხადებდა, რომ ათაშანგის წამალს, „606“, მსურველებს ფასდადებით ვუგზავნითო.

ანდრეევსკის ბედმა გაუღიმა, უადგილოდ დარჩენილმა კუჭის სამსუნავი იშოვნა და საქმეებიც გვარიანად მიჰყავდა თურმე. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა. ერთ მშვენიერ დღეს ადმინისტრაციამ ერთი მოხელე გაგზავნა „606“-ს სასყიდლად. მოხელეს უთხრა ანდრეევსკიმ, რომ წამალს სახლში გაახლებთო.

დანიშნულს ვადაზე წამალი არ მიუტანეს. ხელმეორედ მივიდა მოხელე, თან პოლიციელებიც ჰყავდა. გაჩხრიკეს და ყველა პრეპარატები უნახეს. კიდევ კარგი რომ ანდრეევსკის ყალბი წამალი უვნებელი აღმოჩნდა. უბრალო ფქვილისა და რაღაც წებოს მაგვარ მასალებით ყოფილა შეზავებული ანდრეევსკის ამ საქმეში პროვიზორის თანაშემწე ვინმე ჟიტლოვსკი ეხმარებოდა.

ანდრეევსკი პასუხის გებაში მისცეს.

*** ტფილისში არსდება სააქციონერო ამხანაგობა 800,000 მან. ძირითადი თანხით. ამხანაგობას გადაუწყვეტია რკინის გზა გაიყვანოს ტფილისიდან კოჯრამდე.

*** უკვე გამოვიდა მორიგი (25) ნომერი ქართული ყოველ-კვირეული ჟურნალ „ერი“-სა, რომელიც აქამდე შეჩერებული იყო. ჟურნალის შინაარსი შემდეგია: ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა, ნინო-იასი. სასიამოვნო მოვლენა. შუანეთა, ამირეჯიბისა. კახეთში მოგზაურობა, რ. გაბაშვილისა. გზა და გზა, ინზენისა. შენიშვნები, გ. გვაზავასი. ტალღა, ი. გრიშაშვილისა. შინაური მიმოხილვა. ლექსი, ვ. ალუდიშვილისა. ფიქრები და შენიშვნები, ვინ-განისა. თეატრის საქმე ტფილისისა და ქუთაისში.

*** ძველი სურათი. როგორც გვატყობინებენ მერკვილაძეს უპოვნია რაჭაში ერთი პატარა სურათი, წამლებით დახატული, რომელზედაც გამოხატულია იმერეთის უკანასკნელი მეფე, სოლომონ მეორე. მასვე უპოვნია ჯრუჭის მონასტერში ამავე მეფისაგან ნაბოძები ერთი სიგელი, 1804 წლის თარიღით. სიგელზედ ფერადის წამლებით არის დახატული თვითონ სოლომონ მეფის სურათი, ვინმე დავით მხატვრისაგან. ეს სიგელი შემოწმებულია დროებით კომისიისაგან ქ. ქუთაისს. 7 მარიამობისთვეს, 1822 წელს. ეს სურათები დამზადებულია გამოსაცემად.

## საზოგადოების საყურადღებოდ

ამ უკანასკნელ დროს გამრავლდნენ ისეთი პირები, რომელნიც თავიანთის მოქმედებით და მტაცებლობით მთელს საზოგადოებას აოცებენ, ვინ წარმოიდგენდა წინად, თუ ფულის შოვნის გულისათვის კაცებს მოიტაცებდნენ დღისით დაშემდეგ მუქარით დასახსნელ ფულს მოითხოვდნენ! მაგრამ ახლა ასეთი ავაზაკობა გასაოცარ ამბად აღარავინ არა სთვლის. გასაოცარი ის არის რომ ახლა შორეულ ქვეყნიდგანაც დაიწყეს მოსვლა ბოროტ გამზრახველებმა და აქ ჩვენში თარეშობენ.

ამ გვარ ბოროტ-გამზრახველის მსხვერ-

პლი გავხდი ამ სტრიქონების დამწერი ამ წლის 2-ს ენკენისთვეს.

არ ვმალავ ამ ამბავს, ამიტომ რომ იქნება სხვა მაინც გაფთხილდეს.

30 მარიამობისთვეს დ. ყვირილას ჩემთან მოვიდა ერთი უბრალოდ, ღარიბულად ჩაცმული ბერძენი, რომელიც თავის თავს სათათრეთის ქვეშევრდომ მუშას უწოდებდა. შემომჩივლა თავისი გაჭირვება და სამუშაოც მთხოვა, შემდეგ მაუწყა, რომ ჭიათურაში მუშაობის დროს მე და ჩემმა ამხანაგმა ერთი გორაკის გათხრის დროს ვიპოვეთ სხვა და სხვა ოქროს ხატები, ჯვრები და შესანიშნავი ძველი ნაშთებიო. ეს ამბავი საიდუმლოდ განმიცხადა და მთხოვა, მათ მიერ ნაპოვნი ძველი ოქროული მე შემესყიდა. მე ეჭვის თვალით შევხედე და ავაზაკად და მოშენიკად მივიღე. ბერძენმა მუშამ იწყინა და თავი ისე მაჩვენა რომ იმაზე წმიდა კაცი მეორე აღარ გეგონებოდათ.

მრავალჯერ განმეორებისა და ხვეწნა მუდარის შემდეგ დამითანხმა მენახა ეს ნივთები და თუ მომეწონებოდა, მეყიდნა. კიდეც თანაც ამ საქმის გათავებას სასწრაფოდ ითხოვდა, რადგანაც ჩემი ამხანაგი სამშობლოში წასვლას ეჩქარებაო.

მეც დავენდე მის სიტყვას, მით უმეტეს რომ ესევე ბერძენი გამირიგდა ერთი თვით მუშაობას, როგორც კალატოზი. ორს ენკენისთვეს დავიბარე ეს კაცი შუადღის დროს და ფულიც სულ სხვა დანიშნულებისათვის განზრახული, მოვამზადე სახლში, რადგანაც ძველი ნაშთების შეძენა ყოველთვის დიდად სასურველ რამედ მქონდა მიჩნეული. დანიშნულ დროს ბერძნები აღარ მოვიდნენ და აღარც მოველოდი მათ. მაგრამ საღამოს 8 საათზე იმ დროს, როდესაც დიდი წვიმა იყო და ჭექა-ქუხილიც, მოვიდნენ ჩემთან, ერთი მათგანი ოთახში შემოვიდა და მეორე-კი, ვითომ ნივთების საჩვენებლად მოსული, არ შემოდიოდა, ვითომდა ეშინოდა რომ ნივთები არ წაგვერთმია. ბოლოს, როგორც იქნა, მეორეც შემოვიდა, მაგრამ პირველის თხოვნაზედ, მაინც არ იღებდა ნივთებს საჩვენებლად, თუ ფულს არ დაინახავდა. შემდეგ, როდესაც დასარწმუნებლად დავანახვე ფული— უცებ პირველმა გამომგლიჯა ხელიდგან ეს ფული და ორივე მსწრაფლად გავარდნენ გარედ, ბნელ ღამეში. სახლში შემთხვევით სხვა კაცი არავინ არ იყო, თვითონ მე გავეკიდე დიდი გზისაკენ, მაგრამ ცამ ჩაულაპა, თუ მიწამ მათი ასავალ-დასავალი ველარ გავიგე. თუმცა პოლიციას მაშინვე განუცხადე, და ზომებიც მიიღეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მათის კვალისთვის ვერ მიუგნიათ.

როგორც გამოირკვა, ეს კაცები სხვებთანაც ყოფილან, სოფლად, ამნაირისავე განზრახვით, მაგრამ ვერ გაუბედნიათ ამნაირი მტაცებლობა, რადგანაც, როგორცა სჩანს, არ ემარჯვებოდათ თავის დამალვა ისე ადვილად, როგორც ეს მოსახერხებელია ჩვენს დაბაში, სადაც მოსახლობა ხშირია და გზებიც მრავალი თავის დასამალავად და აქვე რკინის გზაც მსწრაფლ-გასაქცევად.

დიახ, კაცის შებრალებაც თუ სანანებლად გაგიხდებოდა ვერ წარმოვიდგენდი.

ტეუილად არ არის ნათქვამი «გველი გარედან არის ჭრელი და კაცი კი შიგნიდანაო!» სხვები მაინც გაფრთხილდნენ.

დეკანოზი დ. დამბაშიძე.

# განცხადებანი

## ისყიდებიან

**დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:**

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ყვირილაში—«მწყემსი»ს რედაქციაში.

**1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.**

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი ღღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეთა-მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 25 კ. და უყდოთ . . . 20 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ერცელი პანაშვიდისა, ფასი . . . 10 კ,
3. Oოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 20—
4. კონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 30 კ. კარგი ყდით . . 50 »
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო ღღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . . 5 »
6. საქართველოს ეკკლესიის წმიდანები რუს. 5 »

**2, სასაწვლო და სახელმძღვანელო წიგნები.**

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, პირველი ნაწილი უყდოთ 25 კ. ყდით 30 კ. მეორე ნაწილი უყდოთ 25 კ. ყდით 30. ორივე ნაწილი ერთად ყდით . . . 60 კ.
2. დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
3. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 30 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ

**3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.**

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან ყდით ფასი . . . 1 მ. უყდოთ . . . . . 60 კ.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის საუბარი . . . . . 5 კ.

**4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,**

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 15 კ.
2. ზელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 15 კ.
ივივე რუსულ ენაზე . . . 20 „
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4, მთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
ივივე რუსულ ენაზე . . . . 10 კ.
5. ვარძიის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

**5. საუფლო და ღვთის-მშობლის ღღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.**

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით . . 2—
4. შობა უფლისა . . . . . 2 კ.
5. მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
9. მიძინება ყოველად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ხელთუქნელი ხატის ისტორია . . 3 კ.

## ხატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრის, ივერიის ღვთისმშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდებათ. ამასთან იმექონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინოსი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპიით დახატული წმიდანი მეფე-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოსი 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმექონება აგრეთვე მრავალი პატარა გულსაკიდი ხატები ფერგადუვალი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობა სამ მან. ესენი იმექონებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კ.

## იაკობ გოგებაშვილის წიგნები:

დედა-ენა, მეჩვიდმეტე გამოცემა, 278 ათასი. წიგნი სახელ-გაკეთებულია (рекомендована) სამინისტროსაგან მოწონებულია და სინოდისაგან. ფასი ყდით ორი აბაზი.

ბუნების-კარი. მეთორმეტე გამოცემა, 62 ათასი, სახელ-გაკეთებულია (рекомендована) სამინისტროსაგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო“, და მოწონებულია სინოდისაგან. ფასი ყდით ოთხი აბაზი.

კოკორი, მეთორმეტე გამოცემა, 60 ათასი. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან. ფასი ორი აბაზი.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრებული, მეორე გამოცემა, 2,400 ცალი. მოწონებულია ორისავე უწყებისაგან. ფასი ექვსი შაური.

კუნწულა, ანუ კრებული რჩეულის მოთხრობებისა ევროპისა და რუსეთის მწერლებისა, 1,200 ცალი. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან. ფასი ორი აბაზი.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა, ცხრა სურათით. გამოცემა მესამე, 7,200 ცალი. ფასი ერთი შაური,

ხატის მიზეზი, მოთხრობა, 1,200 ცალი. ფასი ერთი შაური.

თავდადებულნი ქართველნი, მეორე სურათებიანი გამოცემა, 8,600 ცალი. ფასი 7 კაპ.

მოსავლის მცველნი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები სურათებიანი გამოცემა, 2,400 ცალი. ფასი ერთი აბაზი.

ერეკლე მეფე და ინგილო ქალი, ისტორიული მოთხრობა, 6,000 ცალი, ორი სურათით. ფასი ერთი შაური.

სხივი წარსულისა, ისტორიული ამბავი, 2,400 ცალი. ფასი ერთი შაური.

საარაკო თავგადასავალი, 1,200 ცალი. ფასი ორი შაური.

ძირითადი უკუღმართობა, 1,200 ცალი. ფასი ერთი აბაზი.

აკიდო, ანუ კრებულის აყმაწვილო და სახალხო მოთხრობათა, გამოცემა წიგნების გამომცემლის ქუთაისურის ამხანაგობისა. ფასი სამი შაური.

„დედა-ენის“, „ბუნების-კარის“, „კოკორისა“, „აკიდოსი“ და „Русское Слово“-ს გარდა ყველა სხვა აქ ჩამოთვლილი წიგნები რიცხვით თექვსმეტი ავტორს შეწირული აქვს წერა-კითხვის საზოგადოებისთვის.

Дозволено Цензурою 3 Октября 1910 года г. Кутаисъ
რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე,
სტამბა-ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.